

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი

ქვემოთ ხელისმომწერი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

იღებენ რა მხედველობაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2001 წლის 12 სექტემბრის განცხადებასა და მის 2001 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, და 2002 წლის 3 მაისს, ვილნიუსში მინისტრთა კომიტეტის 110-ე სესიაზე მიღებულ ვილნიუსის განცხადებას რეგიონალური თანამშრომლობისა და გაფართოებულ ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის კონსოლიდაციის შესახებ;

იღებენ რა მხედველობაში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1550 (2002) რეკომენდაციას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის შესახებ;

იღებენ რა მხედველობაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას A/RES/51/210 საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ზომების თაობაზე და მასთან თანდართულ განცხადებას, რათა შეიფხოს 1994 წლის განცხადება საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ზომების შესახებ, და მის რეზოლუციას A/RES/49/69 საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ზომებზე და მასთან თანდართულ განცხადებას საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის თაობაზე;

სურთა რა, გააძლიერონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამასთან დაიცვან ადამიანის უფლებები, ითვალისწინებენ რა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2002 წლის 11 ივლისს მიღებულ ცნობარს ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

მიიხევენ, რომ ამ მიზნისთვის მნიშვნელოვანია შესწორდეს „ტერორიზმის წინააღმდეგ ევროპული კონვენცია“ (ETS. No 90), რომელიც გაიხსნა ხელმოსაწერად 1977 წლის 27 იანვარს ქ. სტრასბურგში, შემდგომში „კონვენციად“ წოდებული;

ითვალისწინებენ, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებული საერთაშორისო კონვენციათა სიის განახლება და გაადვილებული პროცედურის შემოღება ამ სიის შემდგომი განახლების მიზნით, თუ აუცილებელი შეიქმნა;

ითვალისწინებენ, რომ შესაბამისი იქნებოდა კონვენციის იმპლემენტაციის შემდგომი კონტროლის მექანიზმის გაძლიერება;

ითვალისწინებენ, რომ შესაბამისი იქნებოდა დათქმების რეჟიმის გადახედვა;

ითვალისწინებენ, რომ შესაბამისი იქნებოდა კონვენციის გახსნა ხელმოსაწერად ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსთვის,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

1. კონვენციის პირველი მუხლის შესავალი პუნქტი განდება ამავე მუხლის პირველი პუნქტი. ამ პუნქტის c, d, e, და f ქვეპუნქტები ჩანაცვლდებიან შემდეგი ქვეპუნქტებით:

“*ც. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1973 წლის 14 დეკემბერს ხელმოწერილი, საერთაშორისოდ დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციისა და დასჯის შესახებ კონვენციის მიხედვით;*

d. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1979 წლის 17 დეკემბერს ხელმოწერილი, მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით;

e. დანაშაული, ქ. ვენაში 1980 წლის 3 მარტს ხელმოწერილი, ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის მიხედვით;

f. დანაშაული, ქ. მონრეალში 1988 წლის 24 თებერვალს ხელმოწერილი, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აერობორტებში ძალადობის უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ ოქმის მიხედვით.”

2. კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი ქვეპუნქტებით:

„გ. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს ხელმოწერილი, საძვლავო ნაფიციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ კონვენციის მიხედვით;

h. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს ხელმოწერილი, კონტინენტალურ შეღფზე მდებარე დამაგრებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ ოქმის მიხედვით;

i. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1997 წლის 15 დეკემბერს ხელმოწერილი, ტერორისტული დაბომბვების შეზღუდვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით;

j. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1999 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი, ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით.“

3. კონვენციის პირველი მუხლის ტექსტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი პუნქტით:

„ 2. რამდენადაც ისენი არ არიან მოცულნი პირველ პუნქტში ჩამოთვლილი კონვენციებით, იგივე გამოიყენება, ხელშეკრულ სახელმწიფოთა შორის ექსტრადირების მიზნით, არა მხოლოდ ასეთი სერიოზული დანაშაულების ჩადენისას, როგორც დამნაშავე, არამედ:

ა. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენის მცდელობა;

ბ. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამზრახველად მონაწილეობა;

გ. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ორგანიზება, ან სხვათა ხელმძღვანელობა ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში.“

მუხლი 2

კონვენციის მეორე მუხლის მესამე პუნქტი შესწორებულ იქნება შემდეგი რედაქციით:

„3. იგივე გამოიყენება:

ა. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენის მცდელობის შემთხვევაში;

ბ. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამზრახველად მონაწილეობის შემთხვევაში;

გ. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ორგანიზების, ან ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში სსკათა ხელმძღვანელობის შემთხვევაში.“

მუხლი 3

1. კონვენციის მეოთხე მუხლის ტექსტი ვახდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი და შემდეგი ახალი წინადადება დაემატება პუნქტის ბოლოს: „ხელშეკრული სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას განიხილონ ასეთი დანაშაულები როგორც საექსტრადიციო დანაშაულები მათ შორის შემდგომში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ“.

2. კონვენციის მეოთხე მუხლის ტექსტი ჩანაცვლება შემდეგი პუნქტით:

„2. როდესაც ხელშეკრული სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას უქვემდებარებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, იღებს თხოვნას ექსტრადიციის თაობაზე სსკა ხელშეკრული სახელმწიფოს მხრიდან, რომელთანაც მას არ გააჩნია ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მოთხოვნის მიძღვრულ ხელშეკრულ სახელმწიფოს შეუძლია, მისი სურვილის შემთხვევაში, განიხილოს წინამდებარე კონვენცია, როგორც სამართლებრივი ბაზა ექსტრადიციისათვის იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოყვანილია პირველ და მეორე მუხლებში.“

მუხლი 4

1. კონვენციის მესამე მუხლის ტექსტი ვახდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი.

2. კონვენციის მესამე მუხლის ტექსტი ჩანაცვლებულ იქნება შემდეგი პუნქტებით:

„2. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება წამების რისკის წინაშე.“

3. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება სიკვდილით დასჯის რისკის წინაშე ან სადაც მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფოს კანონმდებლობა კრძალავს თავისუფლების უვადო აღკვეთას, თავისუფლების უვადო აღკვეთის რისკის წინაშე, შესაბამისი სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოსაყენებელი საექსტრადიციო ხელშეკრულების მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ექსტრადიცია, თუ მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფო იძლევა ისეთ გარანტიებს, რომლებსაც მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფო მიიჩნევს საკმარისად, რომ უზღვევს სასჯელი არ იქნება გამოტანილი, ან სადაც გამოტანილია, არ იქნება აღსრულებული, ან აღნიშნულ პირს არ შეეფარდება თავისუფლების უვადო აღკვეთა, მისი გადახედვის უფლების გარეშე.“

მუხლი 5

კონვენციის მერვე მუხლის შემდეგ ჩამოყალიბდება შემდეგი ახალი მუხლი:

„მუხლი 9

ხელშეკრულ სახელმწიფოებს შეუძლიათ მათ შორის დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რათა ჩაანაცვლონ წინამდებარე კონვენციის დებულებები ან გააადვილონ მასში შესული პრინციპების გამოყენება.“

მუხლი 6

1. კონვენციის მეცხრე მუხლი ვახდება მეთექვსმეტი მუხლი.

2. ახალი მეათე მუხლის პირველი პუნქტი ჩასწორდება შემდეგნაირად:

„1. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) პასუხისმგებელია კონვენციის გამოყენების შემდგომ განხილვაზე. ევროპული კომიტეტი:

ა. ინფორმირებულ იქნება კონვენციის გამოყენების თაობაზე;

ბ. მოაშუადებს წინადადებებს, კონვენციის გამოყენების გაადვილების ან გაუმჯობესების მიზნით;

გ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს რეკომენდაციებს კონვენციის შესწორების წინადადებების თაობაზე და მისცემს მის დასკვნას კონვენციის შესწორების ნებისმიერ წინადადებაზე, რომელიც წარდგენილი იქნება ხელშეშეკრული სახელმწიფოს მიერ მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად;

დ. ხელშეშეკრული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გამონაკლავს თავის შეხედულებას კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე. ვაკუუმებს ყველაფერს, რაც აუცილებელია, რათა ხელი შეუწყოს იმ ნებისმიერი სირთულის ძეგობრულ გადაწყვეტას, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას კონვენციის აღსრულებიდან;

ვ. მინისტრთა კომიტეტს მიმართავს რეკომენდაციებით ევროპის საბჭოს იმ არაწევრი სახელმწიფოების თაობაზე, რომლებიც მიწვეულ იქნებიან კონვენციასთან მისაერთებლად მე-14 მუხლის შესაბამე პუნქტის შესაბამისად;

ზ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ყოველწლიურად გაუგზავნის მოხსენებას კონვენციის გამოყენებისას წინამდებარე მუხლის გამოყენების შესახებ.“.

3. ახალი მეათე მუხლის მეორე პუნქტი წაიშლება.

მუხლი 7

1. კონვენციის მეათე მუხლი გახდება მე-11 მუხლი.

2. ახალი მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, სიტყვები „მე-9 მუხლის მეორე პუნქტი“ ჩანაცვლდება სიტყვებით „მეათე მუხლის პირველი ე. პუნქტით ან მონაპარაკებით“. წინამდებარე პუნქტის მეორე წინადადებაში, ტერმინი „ორი“ წაიშლება. წინამდებარე პუნქტის დარჩენილი წინადადებები წაიშლება.

3. ახალი მე-11 მუხლის მეორე პუნქტი გახდება წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტი. წინადადება „როდესაც უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, არბიტრს (referee) გააჩნია გადაწყვეტი ხმა“ დაემატება მეორე წინადადების შემდეგ და უკანასკნელ წინადადებაში ტერმინი „მისი“, ჩანაცვლდება ტერმინით „ტრიბუნალის“.

4. ახალი მე-11 მუხლის ტექსტი ჩანაცვლდება შემდეგი პუნქტებით:

„2. თუ დაგა მოიცავს მხარეებს, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, და მხარე ვერ ასახელებს მის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დასახელება მეორე მხარის მოთხოვნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

3. თუ დაგა მოიცავს მხარეებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და მხარე ვერ ასახელებს მის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დასახელება მეორე მხარის მოთხოვნით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

4. წინამდებარე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით მოცულ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე არის დავის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქე, ეს ფუნქცია

შესრულებული იქნება სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის მიერ, ან თუ ვიცე-თავმჯდომარეა, დავის რომელიმე მხარის მოქალაქე, სასამართლოს ყველაზე მაღალი თანამდებობის იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ არის დავის რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქე.

5. შემთხვევებულ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული პროცედურები, mutatis mutandis გამოიყენება იქ, სადაც არბიტრები ვერ დაასახელებენ არბიტრს (referee) წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.“.

მუხლი 8

ახალი მუხლი ჩამოყალიბდება ახალი მე-11 მუხლის შემდეგ:

„მუხლი 12

1. წინამდებარე კონვენციის ცვლილებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს, ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. ცვლილებებზე წინადადებები გადაეგზავნება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის მიერ.

2. არაწევრი ხელშემკვრელი სახელმწიფოებისა და თუ აუცილებელია სისხლის სამართლის პრობლემებზე ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს ცვლილებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობით. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიიღებს მიზნით გადაუგზავნის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ნებისმიერ ცვლილებებს.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა მასზე თანხმობის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მისული ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს შეტყობინების მიღების თარიღიდან 30-თე დღეს.“.

მუხლი 9

ახალი მე-12 მუხლის შემდეგ შემოღებულ იქნება ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13

1. იმ მიზნით, რათა განახლდეს პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილ ხელშეკრულებათა სია, ცვლილებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. აღნიშნული წინადადებები ცვლილებებზე დაკავშირებულ იქნება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ და უკვე ძალაში შესულ ხელშეკრულებებს. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი წინადადებებს მიაწოდებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს.

2. არაწევრ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან და თუ აუცილებელია სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპულ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს წარმოდგენილი ცვლილებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობით. ცვლილებები ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც ისინი გადაეგზავნილ იქნენ ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან. ამ დროის განმავლობაში, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს მასთან დაკავშირებით ცვლილებათა ძალაში შესვლაზე ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთი მესამედი აცნობებს გენერალურ მდივანს შენიშვნებს ცვლილებათა ძალაში შესვლის თაობაზე, ცვლილებები ძალაში არ შევა.

4. თუ ხელშეკვერელ სახელმწიფოთა ერთ მესამედზე ნაკლებს გააჩნია შენიშვნები, ცვლილებები ძალაში შევა მხოლოდ იმ ხელშეკვერელი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც არ გამოთქვეს თავისი შენიშვნები.

5. მაშინ როდესაც ცვლილებები შევა ძალაში წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და ხელშეკვერელი მხარე წარმოადგენს მასზე შენიშვნებს, აღნიშნული ცვლილება ამ ხელშეკვერელი სახელმწიფოსთვის ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთიანი პერიოდის მომდევნოთვის პირველ დღეს, როდესაც იგი აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანს მასზე თანხობის შესახებ.“.

მუხლი 10

1. კონვენციის მე-11 მუხლი გადაკეთდება მე-14 მუხლად.

2. ახალი მე-14 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინები „ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები“ ჩანაცვლებულ იქნება ტერმინებით „ევროპის საბჭოს წევრი და დამკვირვებელი სახელმწიფოები“ და მეორე და მესამე წინადადებებში, ტერმინები „ან მოწონება“ შეიცვლება ტერმინებით „მოწონება ან მიერთება“.

3. ახალი მე-14 მუხლის ტექსტს დაემატება შემდეგი პუნქტი:

„3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, შეუძლია კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ევროპის საბჭოს ის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან მითითებული წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ევროპის საბჭოს წესდების მე-20.დ მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობითა და მინისტრთა კომიტეტში მონაწილეობის უფლებით აღჭურვილი ხელშეკვერელ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთხლოვნებით.“.

4. ახალი მე-14 მუხლის მესამე პუნქტი გახდება წინამდებარე მუხლის მეოთხე პუნქტი და ტერმინები „ან მოწონებით“ და „ან მოწონება“ ჩანაცვლდება შესაბამისად ტერმინებით „მოწონებით ან მიერთებით“ და „მოწონება და მიერთება“.

მუხლი 11

1. კონვენციის მე-12 მუხლი გადაკეთდება მე-15 მუხლად.

2. ახალი მე-15 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინები „ან მოწონება“ შეიცვლება ტერმინებით „მოწონება ან მიერთება“ და ტერმინი „გავრცელება“ შეიცვლება ტერმინებით „გავრცელება ან არ გავრცელება“.

3. ახალი მე-15 მუხლის მეორე პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინები „ან მოწონება“ შეცვლილია ტერმინებით „მოწონება ან მიერთება“.

მუხლი 12

1. კონვენციის მე-13 მუხლი გადაკეთდება მე-16 მუხლად.

2. ახალი მე-16 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში ტერმინებს „კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოსაწერად გახსნის დღისათვის კონვენციის მხარე“ დაემატება ტერმინი „შეუძლიათ“, ხოლო ტერმინები „კონვენციის შემსწორებელი ოქმი“ დაემატება ტერმინს „მოწონება“. მეორე წინადადება დაემატება ტერმინების „პოლიტიკური მოტივების“ მერე შემდეგი რედაქციით: „ხელშეკვერელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოიყენონ აღნიშნული

დათქმა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით და დანაშაულის ხასიათის შეფასების დროს ჯეროვნად გაითვალისწინონ დანაშაულის განსაკუთრებით სერიოზული ნებისმიერი მხარე, მათ შორის: “. პირველი წინადადების დარჩენილი ნაწილი წაიშლება გარდა a, b და c ქვეპუნქტებისა.

3. ახალი მე-16 მუხლის ტექსტ დაემატება შემდეგი პუნქტით:

„2. როდესაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი, ხელშეშკვრელი სახელმწიფო დაასახელებს იმ დანაშაულებს, რომელთა მიმართებაშიც გამოიყენება მისი დათქმა.“.

4. ახალი მე-16 მუხლის მეორე პუნქტი გადაკეთდება ამავე მუხლის მესამე პუნქტად. ამ პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინი „ხელშეშკვრელი“ დაემატება ტერმინი „სახელმწიფოს“ წინ და ტერმინები „წინამდებარე პუნქტი“ შეიცვლება ტერმინებით „პირველი პუნქტი“.

5. ახალი მე-16 მუხლის მესამე პუნქტი გადაკეთდება ამავე მუხლის მეოთხე პუნქტად. ამ პუნქტის პირველ წინადადებაში, ტერმინი „ხელშეშკვრელი“ ჩამოყალიბდება ტერმინი „სახელმწიფოს“ წინ.

6. ახალი მე-16 მუხლის ტექსტს დაემატება შემდეგი პუნქტები:

„5. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დათქმები მოქმედებენ დაკავშირებულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, შესწორებული კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის ვადით. თუმცა, ასეთი დათქმები შესაძლებელია განახლებულ იქნას იგივე ვადით.

6. დათქმის ვადის ამოწურვამდე თორმეტი თვით ადრე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს დაინტერესებულ ხელშეშკვრელ მხარეს აღნიშნული ვადი ამოწურვის თაობაზე. ვადის ამოწურვამდე, არაუგვიანეს სამი თვით ადრე, ხელშეშკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი ტოვებს ძალაში, ცვლის ან აუქმებს მის დათქმას. მაშინ როდესაც ხელშეშკვრელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი ტოვებს ძალაში დათქმას, მან უნდა წარადგინოს ასეთი ვაგრძელების დამასაბუთებელი ახსნა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეშკვრელი სახელმწიფო არაფერს არ აცნობებს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ხელშეშკვრელ სახელმწიფოს, რომ მისი დათქმა ითვლება ავტომატურად განახლებულად მომდევნო ექვსი თვით. იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე, ხელშეშკვრელი სახელმწიფო ვერ მოახერხებს მისი დათქმის განახლების ან მოდიფიცირების თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის ინფორმირებას, დათქმა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

7. მაშინ როდესაც ხელშეშკვრელი სახელმწიფო, სხვა ხელშეშკვრელი სახელმწიფოდან პირის ექსტრადიციაზე მიღებული მოთხოვნის შემდეგ არ ახდენს პირის ექსტრადიციას, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული დათქმის საფუძველზე, იგი ნებისმიერი გამონაკლისისა და არაჯეროვანი გაჭიანურების გარეშე გადასცემს საქმეს მის კომპეტენტურ ორგანოებს გასამართლების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები შეთანხმდებიან სხვაგვარად. მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გასამართლების მიზნით, კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას იგივე წესით, რა წესითაც იგი ამას გააკეთებდა მისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მძიმე დანაშაულთან მიმართებაში. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, საქმის წარმოების საბოლოო შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მას გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს.

8. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ექსტრადიციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ჯეროვნად მიეწოდება მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს. იმ შემთხვევაში თუ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გონივრულ ვადებში არ იქნება გამოტანილი არსებით ფაქტებზე სასამართლო გადაწყვეტილება მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს

შეუძლია აღნიშნული ფაქტის თაობაზე აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც საკითხს გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს. შემდგომი რეაგირების კომიტეტი განიხილავს საკითხს და გამოიტანს დასკვნას უარის თქმის შესაბამისობაზე შესწორებულ კონვენციასთან და მიაწოდებს მას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შესაბამისი განცხადების გაკეთების მიზნით. აღნიშნული პუნქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას, მინისტრთა კომიტეტი შეიკრიბება მხოლოდ ხელშეკრულ სახელმწიფოთა შემადგენლობით.“.

მუხლი 13

კონვენციის მე-16 მუხლის შემდეგ ჩამოყალიბდება ახალი მუხლი შემდეგი რედაქციით:

1. მე-10 მუხლის გამოყენების ხელშეუხებლად, ჩამოყალიბდება მხარეთა კონვენცია (შემდგომში PATER-ად წოდებული), რომელიც პასუხისმგებელი იქნება:

- ა. წინამდებარე კონვენციის ეფექტურ გამოყენებასა და მოქმედებაზე, მათ შორის ნებისმიერი პრობლემის დადგენაზე;
- ბ. მე-16 მუხლის შესაბამისად გაკეთებული დათქმების და განსაკუთრებით მე-16 მუხლის მეშვიდე პუნქტში ჩამოყალიბებულ პროცედურის შესწავლაზე;
- გ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის ურთიეთვაცვლაზე;
- დ. მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ზომების შესწავლაზე და სადაც აუცილებელია წინადადებებზე დამატებითი ზომების თაობაზე, რომლებიც აუცილებელია, რათა გამოსწორდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში;
- ე. დასკვნების მოშვებასა და მინისტრთა კომიტეტის მიერ მიცემული სამოქმედო პირობების აღსრულება.

2. PATER-ი შედგება თითოეული ხელშეკრული სახელმწიფოს მიერ დანიშნული ერთი ექსპერტისაგან. ის რეგულარულად შეიკრიბება წელიწადში ერთხელ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ან ხელშეკრულ სახელმწიფოთა არაუპირველ ერთი შესამედი მოთხოვნით.

3. PATER-ი დაამტკიცებს მის საპროცედურო წესებს. იმ ხელშეკრულ სახელმწიფოთა მონაწილეობის ხარჯები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ. ევროპის საბჭოს სამდივნო ხელს შეუწყობს PATER-ს წინამდებარე მუხლის შესაბამისად მისი ფუნქციების განხორციელების საქმეში.

4. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი პერიოდულად იქნება ინფორმირებული PATER -ის საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 14

კონვენციის მე-14 მუხლი გადაკეთდება მე-18 მუხლად.

მუხლი 15

კონვენციის მე-15 მუხლის წაიშლება.

მუხლი 16

1. კონვენციის მე-16 მუხლი გადაკეთდება მე-19 მუხლად.

2. ახალი მე-19 მუხლის შესავალ წინადადებაში, ტერმინები „ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები“ შეიცვლება ტერმინებით „ხელშეკრული სახელმწიფოები“.

3. ახალი მე-19 მუხლის ხ პუნქტში, ტერმინები „ან მოწონება“ შეიცვლება ტერმინებით „მოწონება ან მიერთება“.

4. წაიშლება ახალი მე-19 მუხლის e და f პუნქტები.

5. ახალი მე-19 მუხლის g პუნქტი გადაკეთდება წინამდებარე მუხლის e პუნქტად.

6. წაიშლება ახალი მე-19 მუხლის h პუნქტი.

მუხლი 17

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც არიან კონვენციის ხელმომწერები და რომლებსაც შეუძლიათ გამოხატონ მათი თაონხმობა მის სავალდებულოობაზე:

ა. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე დათქმის ვაკეთების ვარეშე ხელმოწერით, ან
ბ. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების თაობაზე დათქმით ვაკეთებული ხელმოწერით, რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია, მიღება ან მოწონება.

1. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 18

ოქმი ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან პერიოდს იმ თარიღიდან, როდესაც კონვენციის ყველა მხარემ გამოხატა თავისი თანხმობა ოქმის სავალდებულოობაზე, მე-17 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

ბ. რატიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების თაობაზე;

გ. მე-18 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღის თაობაზე;

დ. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ.

რის დასტურადაც, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭირვილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, --- წლის ---თვის ---დღეს ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტურია და რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს.

დანართი

კონსოლიდირებული ვარიანტი

**ევროპული კონვენცია
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**

ქვემოთ ხელისმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები:

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ რა ტერორისტული აქტების ზრდით გამოწვეულ მზარდ შეშფოთებას;

განწყობილნი არიან რა გაატარონ ეფექტური ზომები, რათა ასეთი აქტების ჩამდენმა პირებმა თავი არ აარიდონ ბრალდებასა და სასჯელს;

აცნობიერებენ, რომ ექსტრადიცია წარმოადგენს განსაკუთრებით ეფექტურ ზომას ამ შედეგის მისაღწევად,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

ხელშეკრულ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, არც ერთი შემდეგი დანაშაული არ შეიძლება მიხნეულ იქნას პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად:

- ა. დანაშაული, 1970 წლის 16 დეკემბერს ქ. ჰააგაში ხელმოწერილი საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მიხედვით;*
- ბ. დანაშაული, 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის მიხედვით;*
- გ. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1973 წლის 14 დეკემბერს ხელმოწერილი, საერთაშორისოდ დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციისა და დასჯის შესახებ კონვენციის მიხედვით;*
- დ. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1979 წლის 17 დეკემბერს ხელმოწერილი, მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით;*
- ე. დანაშაული, ქ. ვენაში 1980 წლის 3 მარტს ხელმოწერილი, ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის მიხედვით;*
- ვ. დანაშაული, ქ. მონრეალში 1988 წლის 24 თებერვალს ხელმოწერილი, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აერობორტებში ძალადობის უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ ოქმის მიხედვით.*
- ზ. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს ხელმოწერილი, სამხლვაო ნავიგაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ კონვენციის მიხედვით;*

თ. დანაშაული, ქ. რომში 1988 წლის 10 მარტს ხელმოწერილი, კონტინენტალურ შეღებვზე მდებარე დამამკრებელი პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების შეზღუდვის შესახებ ოქმის მიხედვით;

ii. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1997 წლის 15 დეკემბერს ხელმოწერილი, ტერორისტული დაბომბვების შეზღუდვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით;

j. დანაშაული, ქ. ნიუ-იორკში 1999 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი, ტერორიზმის დაფინანსების შეზღუდვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მიხედვით.

2. რამდენადაც ისენი არ არიან მოცულნი პირველ პუნქტში ჩამოთვლილი კონვენციებით, იგივე გამოიყენება, ხელშეშეკრულ სახელმწიფოთა შორის ექსტრადირების მიზნით, არა მხოლოდ ასეთი სერიოზული დანაშაულების ჩადენისას, როგორც დამნაშავე, არამედ:

ა. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენის მცდელობა;

ბ. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამზრახველად მონაწილეობა;

გ. ნებისმიერი ასეთი სერიოზული დანაშაულის ორგანიზება, ან სხვათა ხელმძღვანელობა ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში.“

მუხლი 2

1. ხელშეშეკრულ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, ხელშეშეკრულმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს არ მიიწიოს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ისეთ სერიოზულ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაული, რომელიც არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

2. იგივე წესი გამოიყენება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი სერიოზული დანაშაულის მიმართ, რომელიც კოლექტიურ საფრთხეს უქმნის პირებს და არ არის გათვალისწინებული 1-ლი მუხლით.

3. იგივე გამოიყენება:

ა. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენის მცდელობის შემთხვევაში;

ბ. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ჩადენაში ან მათი ჩადენის მცდელობაში თანამზრახველად მონაწილეობის შემთხვევაში;

გ. ნებისმიერი ხსენებული დანაშაულის ორგანიზების, ან ჩადენაში ან ჩადენის მცდელობაში სხვათა ხელმძღვანელობის შემთხვევაში.

მუხლი 3

ექსტრადიციის საკითხებზე ხელშეშეკრულ სახელმწიფოებს შორის მოქმედი ყველა ხელშეკრულებისა და შეთანხმების დებულებები, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით, შეიცვლება ხელშეშეკრულ სახელმწიფოთა შორის იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან წინამდებარე კონვენციასთან.

მუხლი 4

1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის და იმ შემთხვევაში, 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული არ არის აღიარებული, ექსტრადიცია დაქვემდებარებულ

დანაშაულად ხელშეკვრულ სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ კონვენციასა თუ ხელშეკრულებაში, იგი მაინც ჩაითვლება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად. ხელშეკვრული სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას განიხილონ ასეთი დანაშაულები როგორც საექსტრადიციო დანაშაულები მათ შორის შემდგომში დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ექსტრადიციის შესახებ.

2. როდესაც ხელშეკვრული სახელმწიფო, რომელიც ექსტრადიციას უქვემდებარებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, იღებს თხოვნას ექსტრადიციის თაობაზე სხვა ხელშეკვრული სახელმწიფოს მხრიდან, რომელთანაც მას არ გააჩნია ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, მოთხოვნის მიძღვრულ ხელშეკვრულ სახელმწიფოს შეუძლია, მისი სურვილის შემთხვევაში, განიხილოს წინამდებარე კონვენცია, როგორც სამართლებრივი ბაზა ექსტრადიციისათვის იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოყვანილია პირველ და მეორე მუხლებში.

მუხლი 5

1. წინამდებარე კონვენციაში არაფერი არ შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც ექსტრადიციის ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს, რომელსაც მიმართეს ექსტრადიციის თხოვნით, აქვს საკმარისი საფუძველი იმის საგარაუდოდ, რომ პირველ და მეორე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის შესახებ თხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური სექტორების გამო ან თუ პირის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს რომელიმე ამ მიზეზის გამო.

2. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციისაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება წამების რისკის წინაშე.

3. წინამდებარე კონვენციაში არაფერი იქნება განმარტებული, როგორც ვალდებულების დამდგენი ექსტრადიციისაზე, თუ ექსტრადიციას დასაქვემდებარებელი პირი დადგება სიკვდილით დასჯის რისკის წინაშე ან სადაც მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფოს კანონმდებლობა კრძალავს თავისუფლების უვადო აღკვეთას, თავისუფლების უვადო აღკვეთის რისკის წინაშე, შესაბამისი სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის გარეშე, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოისაყენებელი საექსტრადიციო ხელშეკრულების მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ექსტრადიცია, თუ მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფო იძლევა ისეთ გარანტიებს, რომლებსაც მოთხოვნის მიძღვრული სახელმწიფო მიიჩნევს საკმარისად, რომ უმაღლესი სასჯელი არ იქნება გამოტანილი, ან სადაც გამოტანილია, არ იქნება აღსრულებული, ან აღნიშნულ პირს არ შეეფარდება თავისუფლების უვადო აღკვეთა, მისი გადახედვის უფლების გარეშე.

მუხლი 6

1. თითოეული ხელშეკვრული სახელმწიფო მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი გახდეს მისი იურისდიქციის გასაზრცელებლად 1-ელ მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულზე, იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და იგი არ მოახდენს მის ექსტრადიციას ამის შესახებ თხოვნის მიღების შემდეგ იმ ხელშეკვრული სახელმწიფოს მხრიდან, რომლის იურისდიქციაც შესაბამისობაშია იმ სახელმწიფოს სამართლით გათვალისწინებულ იურისდიქციასთან, რომელსაც წარედგინა ისეთ თხოვნა.

2. წინამდებარე კონვენცია არ გამოირიცხავს რაიმე სახის სისხლის სამართლებრივ იურისდიქციას ეროვნული სამართლის შესაბამისად.

მუხლი 7

ხელშეკვრული სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი და რომელიც მიიღებს თხოვნას

ექსტრადიციის შესახებ მე-1 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული პირობებით, თუ იგი არ მოახდენს ამ პირის ექსტრადიციას, იგი გადასცემს საქმეს ბრალდებისათვის, ყოველგვარი გამონაკლისისა და გაუძარტლებელი დაყოვნების გარეშე, თავის კომპეტენტურ ორგანოებს. ეს ორგანოები ამ საქმეზე თავის გადაწყვეტილებას მიიღებენ მსგავსი სერიოზული დანაშაულისათვის დადგენილი წესით, ამ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად.

მუხლი 8

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები გამოიყენებენ ერთმანეთის მიმართ სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების ყველაზე ფართო ზომებს 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში გამოიყენებულ იქნება სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელსაც წარედგინა თხოვნა ექსტრადიციის შესახებ. ამასთანავე არ შეიძლება უარი ითქვას იმ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ან დანაშაულს დაკავშირებულს პოლიტიკურ დანაშაულთან ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულს.

2. არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ურთიერთდახმარების ვალდებულება, თუ სახელმწიფოს, რომელსაც მიმართეს ექსტრადიციის თხოვნით, აქვს საკმარისი საფუძველი იმის საფარუდოდ, რომ 1-ელ და მე-2 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის შესახებ თხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

3. სისხლის სამართლის საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის გამოსაყენებელი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების უგველა დებულება, სისხლის სამართლის საკითხებში უღვრთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით, შეიცვლება იმდენად, რამდენადაც ისინი შეუსაბამობაში იქნებიან ამ კონვენციასთან.

მუხლი 9

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეუძლიათ მათ შორის დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რათა ჩაახაცვლონ წინამდებარე კონვენციის დებულებები ან გააადვილონ მასში შესული პრინციპების გამოყენება.

მუხლი 10

1. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) პასუხისმგებელია კონვენციის გამოყენების შემდგომ განხილვაზე. ევროპული კომიტეტი:

ა. ინფორმირებულ იქნება კონვენციის გამოყენების თაობაზე;

ბ. მოამზადებს წინადადებებს, კონვენციის გამოყენების გაადვილების ან გაუმჯობესების მიზნით;

გ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს რეკომენდაციებს კონვენციის შესწორების წინადადებების თაობაზე და მისცემს მის დასკვნას კონვენციის შესწორების ნებისმიერ წინადადებაზე, რომელიც წარდგენილი იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად;

დ. ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოხატავს თავის შეხედულებას კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე. ვააკეთებს ყველაფერს, რაც აუცილებელია, რათა ხელი შეუწყოს იმ ნებისმიერი სირთულის მეგობრულ გადაწყვეტას, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას კონვენციის აღსრულებიდან;

ვ. მინისტრთა კომიტეტს მიმართავს რეკომენდაციებით ევროპის საბჭოს იმ არაწევრი სახელმწიფოების თაობაზე, რომლებიც მიწვეულ იქნებიან კონვენციასთან მისაერთებლად მე-14 მუხლის შესაბამისად;

ზ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ყოველწლიურად გაუგზავნის მოხსენებას კონვენციის გამოყენებისას წინამდებარე მუხლის გამოყენების შესახებ.“

მუხლი 11

1. წინამდებარე კონვენციის განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით ხელშეკრულს სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დაფა, რომელიც არ იქნა მოგვარებული მე-10 მუხლის პირველი ე. პუნქტით ან მოლაპარაკებით, დავის მონაწილე რომელიმე მხარის თხოვნით გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს. ყოველი მხარე დანიშნავს თითო მედიატორს, ხოლო ეს ორი მედიატორი დანიშნავს არბიტრს.

2. თუ დაფა მოიცავს მხარეებს, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, და მხარე ვერ ასახელებს მის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დასახელება მეორე მხარის მოთხოვნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

3. თუ დაფა მოიცავს მხარეებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და მხარე ვერ ასახელებს მის არბიტრს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არბიტრაჟის მოთხოვნიდან 3 თვის განმავლობაში, არბიტრი დასახელება მეორე მხარის მოთხოვნით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

4. წინამდებარე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით მოცულ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე არის დავის მონაწილე რომელიმე მხარის მოქალაქე, ეს ფუნქცია შესრულებული იქნება სასამართლოს ვიცე-თავმჯდომარის მიერ, ან თუ ვიცე-თავმჯდომარეა, დავის რომელიმე მხარის მოქალაქე, სასამართლოს ყველაზე მაღალი თანამდებობის იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ არის დავის რომელიმე მონაწილე მხარის მოქალაქე.

5. შემთხვევულ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული პროცედურები, მუტატის მუტანდის გამოიყენება იქ, სადაც არბიტრები ვერ დაასახელებენ არბიტრს (რეფერეე) წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. სამედიატორო სასამართლო განსაზღვრავს საკუთარ პროცედურას. იგი გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით. როდესაც უმრავლესობა ვერ იქნება მიღწეული, არბიტრს (რეფერეე) გააჩნია გადაწყვეტი ხმა. არბიტრაჟის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო.

მუხლი 12

4. წინამდებარე კონვენციის ცვლილებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშეკრული სახელმწიფოს, ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. ცვლილებებზე წინადადებები გადაეგზავნება ხელშეკრულს სახელმწიფოებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის მიერ.

5. არაწევრები ხელშეკრული სახელმწიფოებისა და თუ აუცილებელია სისხლის სამართლის პრობლემებზე ევროპული კომიტეტის კონსულტაციების შემდეგ, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს ცვლილებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20დ. მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობით. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მიიღებს მიზნით გადაუგზავნის ხელშეკრულს სახელმწიფოებს ნებისმიერ ცვლილებებს.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა მასზე თანხმობის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მისული ყველა ხელშეკრული სახელმწიფოს შეტყობინების მირების თარიღიდან 30-თე დღეს.

მუხლი 13

1. იმ მიზნით, რათა განახლდეს პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოყვანილ ხელშეკრულებათა სია, ცვლილებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ხელშეკრული სახელმწიფოს ან მინისტრთა კომიტეტის მიერ. აღნიშნული წინადადებები ცვლილებებზე დაკავშირებულ იქნება მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებულ საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებულ და უკვე ძალაში შესულ ხელშეკრულებებს. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი წინადადებებს მიაწოდებს ხელშეკრულ სახელმწიფოებს.

2. არაწევრ ხელშეკრულ სახელმწიფოებთან და თუ აუცილებელია სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპულ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს წარმოდგენილი ცვლილებები ევროპის საბჭოს წესდების მე-20-დ მუხლით გათვალისწინებული უძრავლესობით. ცვლილებები ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც ისინი გადავ ზავნილ იქნენ ხელშეკრულ სახელმწიფოებთან. ამ დროის განმავლობაში, ნებისმიერ ხელშეკრულ სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს გენერალურ მდივანს მასთან დაკავშირებით ცვლილებათა ძალაში შესვლაზე ნებისმიერი შენიშვნის თაობაზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულ სახელმწიფოთა ერთი მესამედი აცნობებს გენერალურ მდივანს შენიშვნებს ცვლილებათა ძალაში შესვლის თაობაზე, ცვლილებები ძალაში არ შევა.

4. თუ ხელშეკრულ სახელმწიფოთა ერთ მესამედზე ნაკლებს გააჩნია შენიშვნები, ცვლილებები ძალაში შევა მხოლოდ იმ ხელშეკრული სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც არ გამოთქმეს თავისი შენიშვნები.

5. მაშინ როდესაც ცვლილებები შევა ძალაში წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და ხელშეკრული მხარე წარმოადგენს მასზე შენიშვნებს, აღნიშნული ცვლილება ამ ხელშეკრული სახელმწიფოსთვის ძალაში შევა იმ თარიღიდან ერთწლიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც იგი აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანს მასზე თანხობის შესახებ.

მუხლი 14

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი და დამკვირვებელი სახელმწიფოებისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას, მოწონებას ან მიერთებას. სარატიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა მესამე სარატიფიკაციო სიგელის, მიღებისა და დამტკიცების საბუთის დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტის კონსულტირების შემდეგ, შეუძლია კონვენციასთან მისაერთებლად მოიწვიოს ევროპის საბჭოს ის არაწევრი სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან მითითებული წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ევროპის საბჭოს წესდების მე-20-დ მუხლით გათვალისწინებული უძრავლესობითა და მინისტრთა კომიტეტში მონაწილეობის უფლებით აღჭურვილი ხელშეკრულ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთხლოვნებით.

4. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომ მოახდენს რატიფიცირებას, მიღებას, მოწონებას თუ მიერთებას, წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა მისი სარატიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 15

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დებონირებისას განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გაგრძელდება ან არ გაგრძელდება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია სარატიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელების დებონირებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გააგრძელოს ამ კონვენციის მოქმედება ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე რომლებიც განცხადებაში იქნება განსაზღვრული და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზე იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

6. წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ასეთ განცხადებაში გათვალისწინებულ ტერიტორიასთან მიმართებით შეიძლება გამოთხოვილი იქნას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების ვაგ ზაგნის ვ ზით. ასეთი გამოთხოვება ძალაში შევა დაუყონებლივ ან ნებისმიერ მომდევნო თარიღზე, რომელიც განსაზღვრული იქნება ამ შეტყობინებაში.

მუხლი 16

1. [კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოსაწერად გახსნის დღისათვის] კონვენციის მხარე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის შემსწორებელი ოქმის ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღებისა თუ მოწონების შესახებ ინსტრუმენტის დებონირებისას განაცხადოს, რომ იტოვებს უფლებას უარი თქვას ექსტრადიციაზე 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთან მიმართებით, რომელსაც იგი მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად, ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულად. ხელშემკვერელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გამოიყენონ აღნიშნული დათქმა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის დამფუძნებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით და დანაშაულის ხასიათის შეფასების დროს ჯეროვნად გაითვალისწინონ დანაშაულის განსაკუთრებით სერიოზული ნებისმიერი მხარე, მათ შორის:

- ა) როდესაც მან შეუქმნა კოლექტიური საფრთხე პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებას; ან
- ბ) როდესაც ზიანი მიადგა იმ პირებს, რომლებზეც არ ვრცელდებოდა დანაშაულის ჩადენის მოტივაცია; ან
- გ) როდესაც დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ იქნა ბოროტი ან ვერაგი საშუალება.

2. როდესაც გამოიყენება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტი, ხელშემკვერელი სახელმწიფო დაასახელებს იმ დანაშაულებს, რომელთა მიმართებაშიც გამოიყენება მისი დათქმა.

3. ნებისმიერ ხელშემკვერელ სახელმწიფოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოს დათქმა, რომელიც მან გააკეთა წინა პუნქტის შესაბამისად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის განცხადების ვაგ ზაგნით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების თარიღიდან.

4. ხელშემკვერელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არა აქვს უფლება მოითხოვოს 1-ლი მუხლის გამოყენება ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიერ; თუმცა, თუ მის მიერ გაკეთებული დათქმა არის ნაწილობრივი ან პირობითი მას შეუძლია, მოითხოვოს 1-ლი მუხლის გამოყენება იმ მოცულობით, რომლითაც მან იგი თავად აღიარა.

5. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დათქმები მოქმედებენ დაკავშირებულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, შესწორებელი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან სამი წლის ვადით. თუმცა, ასეთი დათქმები შესაძლებელია განახლებულ იქნან იგივე ვადით.

6. დათქმის ვადის ამოწურვამდე თორმეტი თვით ადრე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს დაინტერესებულ ხელშეკვერელ მხარეს აღნიშნული ვადი ამოწურვის თაობაზე. ვადის ამოწურვამდე, არაუგვიანეს სამი თვით ადრე, ხელშეკვერელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი ტოვებს ძალაში, ცვლის ან აუქმებს მის დათქმას. მაშინ როდესაც ხელშეკვერელი სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ იგი ტოვებს ძალაში დათქმას, მან უნდა წარადგინოს ასეთი ვაგრძელების დამასაბუთებელი ახსნა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკვერელი სახელმწიფო არაფერს არ აცნობებს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ხელშეკვერელ სახელმწიფოს, რომ მისი დათქმა ითვლება ავტომატურად განახლებულად მომდევნო ექვსი თვით. იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდის ამოწურვამდე, ხელშეკვერელი სახელმწიფო ვერ მოახერხებს მისი დათქმის განახლების ან მოდიფიცირების თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის ინფორმირებას, დათქმა ჩაითვლება ძალადაკარგულად.

7. მაშინ როდესაც ხელშეკვერელი სახელმწიფო, სხვა ხელშეკვერელი სახელმწიფოდან პირის ექსტრადიციაზე მიღებული მოთხოვნის შემდეგ არ ახდენს პირის ექსტრადიციას, წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში გაკეთებული დათქმის საფუძველზე, იგი ნებისმიერი გამოწვევისა და არაჯეროვანი ვაჭიანურების გარეშე გადასცემს საქმეს მის კომპეტენტურ ორგანოებს გასამართლების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის გამგზავნი და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოები შეთანხმდებიან სხვაგვარად. მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გასამართლების მიზნით, კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას იგივე წესით, რა წესითაც იგი ამას გააკეთებდა მისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ მძიმე დანაშაულთან მიმართებაში. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო, საქმის წარმოების საბოლოო შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსა და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც მას გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს.

8. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ექსტრადიციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ჯეროვნად მიეწოდება მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს. იმ შემთხვევაში თუ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გონივრულ ვადებში არ იქნება გამოტანილი არსებით ფაქტებზე სასამართლო გადაწყვეტილება მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოთხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს შეუძლია აღნიშნული ფაქტის თაობაზე აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც საკითხს გადაუგზავნის შემდგომი რეაგირების კომიტეტს. შემდგომი რეაგირების კომიტეტი განიხილავს საკითხს და გამოიტანს დასკვნას უარის თქმის შესაბამისობაზე შესწორებულ კონვენციასთან და მიაწოდებს მას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შესაბამისი განცხადების გაკეთების მიზნით. აღნიშნული პუნქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულებისას, მინისტრთა კომიტეტი შეიკრიბება მხოლოდ ხელშეკვერელ სახელმწიფოთა შეზღუდვებით.

მუხლი 17

1. მე-10 მუხლის გამოყენების ხელშეუხებლად, ჩამოყალიბდება მხარეთა კონვენცია (შემდგომში PATER-ად წოდებული), რომელიც პასუხისმგებელი იქნება:

- ა. წინამდებარე კონვენციის ეფექტურ გამოყენებასა და მოქმედებაზე, მათ შორის ნებისმიერი პრობლემის დადგენაზე;
- ბ. მე-16 მუხლის შესაბამისად გაკეთებული დათქმების და განსაკუთრებით მე-16 მუხლის მეშვიდე პუნქტში ჩამოყალიბებულ პროცედურის შესწავლაზე;
- გ. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პოლიტიკური ცვლილებების თაობაზე ინფორმაციის ურთიერთაცვლაზე;
- დ. მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ზომების შესწავლაზე და სადაც აუცილებელია წინადადებებზე დამატებითი ზომების თაობაზე, რომლებიც აუცილებელია, რათა გამოსწორდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში;

ე. დასკვნების მომზადებასა და მინისტრთა კომიტეტის მიერ მიცემული სამოქმედო პირობების აღსრულება.

2. PATER-ი შედგება თითოეული ხელშეკვრელი სახელმწიფოს მიერ დანიშნული ერთი ექსპერტისაგან. ის რეგულარულად შეიკრიბება წელიწადში ერთხელ და განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ან ხელშეკვრელ სახელმწიფოთა არაუცილებლად ერთი შესაძლებელი მოთხოვნით.

3. PATER-ი დაამტკიცებს მის საპროცედურო წესებს. იმ ხელშეკვრელ სახელმწიფოთა მონაწილეობის ხარჯები, რომლებიც არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები დაიფარება ევროპის საბჭოს მიერ. ევროპის საბჭოს სამდივნო ხელს შეუწყობს PATER-ს წინამდებარე მუხლის შესაბამისად მისი ფუნქციების განხორციელების საქმეში.

4. სისხლის სამართლებრივ პრობლემათა ევროპული კომიტეტი პერიოდულად იქნება ინფორმირებული PATER -ის საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 18

ნებისმიერ ხელშეკვრელ სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გავზავნით. ნებისმიერი ასეთი დენონსაცია ძალაში შევა დაუყონებლივ ან ნებისმიერ მომდევნო თარიღზე, რომელიც მითითებული იქნება ამ შეტყობინებაში.

მუხლი 19

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ხელშეკვრელ სახელმწიფოებს:

- ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- ბ) სარატიფიკაციო, მიღების, მოწონების ან მიერთების შესახებ სიგელის დებონირების ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- გ) მე-11 მუხლის შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი ფაქტის შესახებ;
- დ) მე-12 მუხლის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი განცხადებისა თუ შეტყობინების შესახებ;
- ე) მე-14 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

რის დასტურდაც, ქვემოთ ხელისმომწერმა სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 2003 წლის 15 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად აუთენტურ ტექსტებად, ერთ პირად, რომელიც დებონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერ სახელმწიფოს.